

**საქართველოს კანონი**

**„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში  
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში  
ცვლილებების შეტანის შესახებ**

**მუხლი 1.** „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №22, 21.12.2009, მუხ. 151) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. მე-2 მუხლის 5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5. ამ კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“, „ე“, „ვ“ და „ი“ ქვეპუნქტები, მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტი და „ბ“ ქვეპუნქტი, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტი, მე-6 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტი, მე-7 და მე-9 პუნქტები, მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი, მე-12, მე-16, მე-18 და 21-ე პუნქტები, 23-ე პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები, 24-ე, 28-ე, 29-ე და 30-ე პუნქტები, 32-ე პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტები და 33-ე პუნქტის „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან.“.

**მუხლი 2.**

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.